საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თქმა

თქმა, ძველ ქართულ ხალხურ მრავალხმიან სიმღერა-საგალობლებში მელოდიისა და სიტყვიერი ტექსტის წამყვანი ხმა. მის შემსრულებელს მთქმელი ეწოდება. ხალხში თქმას პირველ ხმას უწოდებენ, რადგან თავისი ფუნქციით იგი წამყვანია. სინამდვილეში კი (მუს. ფაქტურაში) შუა ხმაა. თქმა სიმღერა-გალობას იწყებს და ძირითად ჰანგს მღერის. დანარჩენი ხმები კი (ზილი კრინი მაღალი ბანი ბანი შემხმობარი დაბალი ბანი შემდეგი) მას მისდევს, მისძახის, უბანებს, უხმობს. იხ. აგრეთვე მთქმელი.

ლიტ.: მ ა ჩ ა ბ ე ლ ი დ., ქართველთა ზნეობა, I. გალობა, «ცისკარი», 1864, №5; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

გ. ჩხიკვაძე